სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/422

ქ. თბილისი

27 დეკემბერი 2019

**ვილდაუს გამოყენებითი მეცნიერებათა ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობით მყოფ ქართველი სტუდენტებისთვის სტუ-ში სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულების მოხსნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ო. გელაშვილის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 დეკემბრის №01-05-02/29 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ლოგისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, რომლებიც მე-7 და მე-8 სემესტრში იმყოფებიან ვილდაუს გამოყენებითი მეცნიერებათა ტექნიკურ უნივერსიტეტში მოეხსნათ სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**